საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 401-02
27/02/2018

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის და დაზღვევის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2018 წლის 2 თებერვლის N195-02 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საფუძველზე, რექტორის 2018 წლის 23 თებერვლის N372-02 ბრძანების, ბიზნესის სკოლის დეკანის გ. ქადაგიძის 2018 წლის 23 თებერვლის N2984-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №2 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რექტორის 2018 წლის 2 თებერვლის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის და დაზღვევის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N195-02 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის სკოლა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი